

**მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი 040853**  
**პროფესიული სტანდარტი**

**I. სფეროს აღწერა:**

მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის საქმიანობა ემსახურება მანქანა-მოწყობილობების წარმოებისა და მომსახურების სფეროს. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, როგორც ინჟინერიის მიმართულება მოიცავს ქვეყნის ეკონომიკისათვის საჭირო ნებისმიერი დარგის მანქანებისა და მოწყობილობების კონსტრუირება-გაანგარიშებას, ტექნიკურ და სამრეწველო ექსპლუატაციას, დეტალების დამზადებას, მზა დეტალებისაგან კვანძების და ნაკეთის აწყობა- დაშლას, ნაკეთის გამართვას, რეგულირებას, გაშვებას, რემონტ- მოდერნიზაციას, მწყობრიდან გამოსული დეტალების, კვანძების, მექანიზმების აღდგენას, მანქანადანადგარების დიაგნოსტიკას და გამოცდას.

**II. დასაქმების სფერო**

მოცემული სტანდარტის მიხედვით მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი - არის პერსონალი, რომელიც ემსახურება მექანიკის ინჟინერიის სფეროს საქმიანობას, ამზადებს, აწყობს, არემონტებს, არეგულირებს მანქანა-დანადგარებს სამანქანათმშენებლო წარმოებაში, სარემონტო და გასამართ, სამშენებლო, საგზაო- სამშენებლო დაწესებულებებში, კვების, მსუბუქი და მძიმე მრეწველობის საწარმოებში.

**III. დამატებითი მოთხოვნები:**

- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის პროგრამის ათვისება

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი პროფესიული განათლება არის ორსაფეხურიანი და თითოეულ დონეზე შემუშავდება შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეოთხე საფეხურის მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მეხუთე საფეხურის მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 50% ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**V. მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის კვალიფიკაციის აღწერი**

მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>აქვს მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს, იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის თეორიული საფუძვლები;</li> <li>• კომპიუტერული გრაფიკა, დეტალის მუშა ნახაზის, მანქანის საერთო ხედების და ჭრილების წაკითხვა;</li> <li>• მექანიკის ინჟინერიაში გამოყენებული მასალები;</li> <li>• საზეინკლო სამუშაოები;</li> <li>• საჩარხო სამუშაოები;</li> <li>• ტიპური დეტალის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის შედგენა, ჭრის რეჟიმების დადგენა;</li> <li>• მანქანათა კონსტრუირები, აწყობა, გამოცდა; მანქანა- დანადგარების მუშაობის უნარიანობის დადგენა, სარემონტო სამუშაოები, რემონტი და აწყობა;</li> <li>• ჩარხები და საჩარხო სისტემები;</li> <li>• მეწარმეობის საფუძვლები;</li> <li>• მექანიკის ინჟინერიის საწარმოო პროცესების უსაფრთხოების საფუძვლები.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პრაქტიკული საქმიანობის დაგეგმვის და შესრულების უნარი შესაბამისი პროცედურებისა და პრინციპების გამოყენების საფუძველზე;</li> <li>• საზეინკლო სამუშაოთა პრაქტიკული შესრულების უნარი;</li> <li>• საჩარხო სამუშაოთა პრაქტიკული შესრულების უნარი;</li> <li>• სარემონტო სამუშაოების პრაქტიკული საქმიანობის შესრულების უნარი;</li> <li>• ჩარხები და საჩარხო სისტემებზე მუშაობის უნარი.</li> </ul>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• წარმოების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები;</li> </ul>

	<p>ანალიზი.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად;</li> <li>• შეაფასოს მიღებული შედეგები და გააუმჯობესოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი.;</li> <li>• მექანიკის ინჟინერიის სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შეიმუშაოს შესაბამისი მიდგომები;</li> <li>• ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი;</li> </ul>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>აქვს უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომუნიკაციისა ზეპირი და წერილობითი სახით პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე;</li> <li>• დამოუკიდებლად ათვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;</li> <li>• დაამუშაოს პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცა უცხო ენაზე;</li> <li>• გადაამზადოს დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტი;</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p>აქვს უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრის;</li> <li>• დამოუკიდებლად აიმაღლოს პროფესიული ცოდნა;</li> <li>• საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს გამოყენებით დაეუფლოს თანამედროვე ტექნოლოგიებს;</li> </ul>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>აქვს :</p> <p>მექანიკის ინჟინერიის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პასუხისმგებლობით ეკიდება მექანიკის ინჟინერიის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს;</li> <li>• ცვალებად სიტუაციებში შეუძლია პროფესიული ორიენტაცია.;</li> <li>• ორიენტირებს უსაფრთხოების ნორმების დაცვით;</li> <li>• დეტალების ორიგინალური დამუშავების, კვანძების მექანიზმების</li> </ul>

		<p>აწყოების, გამართვის და რემონტის უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მექანიზმებისა და კვანძების მუშაობისა დიაგნოსტიკის უნარი.</li> </ul>
--	--	--

მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>აქვს მექანიკის ინჟინერიის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საზეინკლო სამუშაოთა ცოდნა;</li> <li>• საჩარხო სამუშაოთა ცოდნა;</li> <li>• ნებისმიერი დეტალის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის შედგენის, ჭრის რეჟიმების დადგენის და დროის ნორმირების უნარი;</li> <li>• მანქანათა კონსტრუირების, აწყობს, გამართვის, გამოცდის უნარი; მანქანა-დანადგარების მუშაობის უნარიანობის დადგენის, სარემონტო სამუშაოების მოცულობის დადგენის; სპეციალური კვანძების, მექანიზმების და მოწყობილობების დაპროექტების უნარი;</li> <li>• ჩარხები და საჩარხო სისტემების ცოდნა;</li> <li>• მექანიკის ინჟინერიის ბიზნესის პრინციპების ცოდნა;</li> <li>• მორალურ, ეთიკურ, გარემოს დაცვით და სამართლებრივი საკითხების ცოდნა და გაცნობიერება.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მექანიკის ინჟინერიის საწარმოო პროცესების ოპერაციების მართვის უნარი;</li> <li>• პრაქტიკული საქმიანობის დაგეგმვის და შესრულების უნარი შესაბამისი პროცედურებისა და პრინციპების გამოყენების საფუძველზე;</li> <li>• სარემონტო სამუშაოების პრაქტიკული საქმიანობის დაგეგმვის და შესრულების უნარი;</li> <li>• ჩარხები და საჩარხო სისტემების მართვის უნარი.</li> </ul>

<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კრიტიკული აზროვნების, ანალიზისა და შეფასების უნარების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მისაღებად.</li> </ul>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პერსონალური მიზნების დასახვა და დროისა და კონკრეტული ამოცანების მართვა დაგეგმილ ვადაში შესრულების მიზნებისათვის;</li> <li>• ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით კომუნიკაცია თავისი პროფესიული საქმიანობის შესახებ, როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე;</li> <li>• საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენება.</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს. შეუძლია კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის დემონსტრირება.</p>